სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N3

დ.მესტია 29/04/2013წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*

  - *გოჩა ხორგუანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე;

- კომისიის წევრები:

  - *კაპიტონ ჟორჟოლიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
  - *ვახტანგ ნაკანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
  - *მაიზერ ჯაფარიძე* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი;

- *კომისიის აპარატის წევრები:*

  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 23 აპრილს გამოცხადებული N734 კონკურსი.

1.2 მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.იდლიანში მრავალფუნქციური შენობის აშენება.
1.3 მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ლატალში სპორტ სკოლის შენობის რეაბილიტაცია.
1.4 მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ლახამულაში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია.
1.5 მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.მულახში ი.გაბლიანის სახელობის სპორტ სკოლის შენობის რეაბილიტაცია.
1.6 მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.უშგულში ადმინისტრაციული შენობის აშენება.
1.7 მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.წვირმიში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"–ზე კონკურსანტის ი/მ „მალხაზ ფალიანი"–ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის ი/მ „მალხაზ ფალიანი"–ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას, რომელმაც წარმოადგინა საკონკურსო წინადადება ფასით 16950 (თექვსმეტიათასცხრაასორმოცდაათი) ლარი.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ კონკურსანტის ი/მ „მალხაზ ფალიანი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით" განსაზღვრულ მონაცემებს.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ ი/მ „მალხაზ ფალიანი" გამოვლინდეს გამარჯვებულად N734 კონკურსში თანხით 16950 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან

25 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: გ.ხორგუანი

კომისიის წევრები: კ.ჟორჟოლიანი

ვ.ნაკანი

მ.ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი